<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების შესახებ

საქართველოს სახელმწიფო ჯილდოები – ორდენები, მედლები და პრემიები დაწესებულია იმ პირების დასაჯილდოებლად, რომლებმაც გმირობა და მამაცობა გამოიჩინეს სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლებში, განსაკუთრებული პირადი წვლილი შეიტანეს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში, აგრეთვე ქართული კულტურის და მეცნიერების განვითარებაში, აღიარებასა და პოპულარიზაციაში.

მუხლი 1. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების დაწესებისა და მინიჭების საფუძვლების, ასევე მათი სახეების და შესაბამისი ფულადი გასაცემლების ოდენობების განსაზღვრა.

მუხლი 2 სახელმწიფო ჯილდოების სახეობები

საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებია:

~~1.~~ <u>ა.</u> ორდენები:

ა<u>.ა</u>) საქართველოს ეროვნული გმირის ორდენი;

<u>ა.</u>ბ) წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენი;

<u>ა.</u>გ) დავით აღმაშენებლის ორდენი;

<u>ა.</u>დ) თამარ მეფის ორდენი;

<u>ა.</u>ე) ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი;

<u>ა.</u>ვ) წმინდა ნიკოლოზის ორდენი;

<u>ა.</u>ზ) ოქროს საწმისის ორდენი;

<u>ა.</u>თ) ვახტანგ გორგასლის ორდენი – I, II, III ხარისხის;

<u>ა.</u>ი) ღირსების ორდენი;

~~2.~~ <u>ბ.</u> მედლები:

<u>ბ.</u>ა) მედალი „სამოქალაქო თავდადებისათვის“;

<u>ბ.</u>ბ) მედალი „მხედრული მამაცობისათვის“;

<u>ბ.</u>გ) მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის“;

<u>ბ.</u>დ) ღირსების მედალი;

~~3.~~ <u>გ.</u> პრემია:

~~გ.~~ა) შოთა რუსთაველის სახელობის პრემია;

~~გ.~~ბ) საქართველოს ეროვნული პრემია;

~~გ.~~გ) ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია.

მუხლი 3. საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების მინიჭების პირობები

1. საქართველოს ეროვნული გმირის ორდენი არის საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო, რომელიც ენიჭება პირს საქართველოსთვის განსაკუთრებული, გამორჩეული გმირული ქმედებისათვის. საქართველოს ეროვნული გმირის ორდენის მინიჭებით პირს ენიჭება საქართველოს ეროვნული გმირის საპატიო წოდება.

2. წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენით ჯილდოვდებიან პირები საქართველოსთვის მოპოვებულ გამარჯვებებში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

3. დავით აღმაშენებლის ორდენით ჯილდოვდებიან სამოქალაქო, სასულიერო, სამხედრო ან სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირები, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეები საქართველოს წინაშე უდიდესი ღვაწლისათვის, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და აღორძინების, საზოგადოების კონსოლიდაციის და დემოკრატიის დამკვიდრების საქმეში შეტანილი თვალსაჩინო პირადი წვლილისათვის.

4. თამარ მეფის ორდენით ჯილდოვდებიან ქალები საქართველოს წინაშე განსაკუთრებული ღვაწლისათვის, გამორჩეული სახელმწიფოებრივი ან/და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის.

5. ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით ჯილდოვდებიან კულტურის, განათლების, მეცნიერების, ხელოვნების, სპორტისა და სხვა დარგის გამოჩენილი მოღვაწეები საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამის სფეროში გამორჩეული მიღწევებისათვის და საქართველოს წინაშე აღმატებული ღვაწლისათვის.

6. წმინდა ნიკოლოზის ორდენით ჯილდოვდებიან პირები ქველმოქმედებისათვის, ქვეყნისა და ხალხის უანგარო სამსახურისათვის.

7. ოქროს საწმისის ორდენით ჯილდოვდებიან უცხოელები ან მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობაში, მისი ეროვნული ინტერესების და უსაფრთხოების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში, დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბებაში, სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობის დამყარებაში, საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვაში, ქართული კულტურის პოპულარიზაციაში, ქართული მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებაში.

8. ვახტანგ გორგასლის ორდენით ჯილდოვდებიან საქართველოს სამხედრო და სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირები, რომლებმაც სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლებში გამოიჩინეს გმირული თავდადება და მამაცობა, უნარიანი ხელმძღვანელობით უზრუნველყვეს სამხედრო ნაწილებისა და ქვედანაყოფების წარმატება, შეიმუშავეს და განახორციელეს საბრძოლო ოპერაციები. ვახტანგ გორგასლის ორდენი სამი ხარისხისაა:

ა) III ხარისხის ორდენით ჯილდოვდებიან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოვლენილი მაღალი საბრძოლო მომზადებისათვის;

ბ) II ხარისხის ორდენით ჯილდოვდებიან სამხედრო ხელმძღვანელობის საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულებისათვის;

გ) I ხარისხის ორდენით ჯილდოვდებიან ერისა და სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის, თავდადებისა და თავგანწირვისათვის.

9. ღირსების ორდენით ჯილდოვდებიან პირები საქართველოს სახელმწიფოს აღმშენებლობაში – მმართველობის, თავდაცვის, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების, ეკონომიკის, ჯანმრთელობის დაცვის, მეცნიერების, განათლების, კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების დარგებში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისათვის, სპორტული მიღწევებისათვის, გმირობისა და თავდადებისათვის.

10. მედლით „სამოქალაქო თავდადებისათვის“ ჯილდოვდებიან პირები სამაგალითო სამოქალაქო მოქმედებისათვის - თავდადებული სამოქალაქო მოქმედებისას, განსაკუთრებული მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და პიროვნული მამაცობის გამოვლენისას.

11. მედლით „მხედრული მამაცობისათვის“ ჯილდოვდებიან საქართველოს სამხედრო და სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირები საქართველოს დაცვისას გამოჩენილი პირადი მამაცობისათვის და მხედრული ვალის შესრულებისათვის, ვაჟკაცობისა და გაბედული მოქმედებისათვის.

12. მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ ჯილდოვდებიან საქართველოს სამხედრო და სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირები საქართველოს დაცვისა და ერთიანობის უზრუნველყოფაში განსაკუთრებული პირადი დამსახურებისათვის.

13. ღირსების მედლით ჯილდოვდებიან პირები სახელმწიფოს მშენებელობის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ღირსეული სამსახურისათვის.

14. შოთა რუსთაველის სახელობის პრემია გაიცემა ლიტერატურის, მუსიკის, კინოხელოვნების, სახვითი ხელოვნების, თეატრალური ხელოვნების და არქიტექტურის დარგებში შექმნილი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებისათვის, რომელიც მხატვრულ ღირსებათა გამო მოიპოვებს საერთო ეროვნულ აღიარებას და განმსჭვალულია პატრიოტიზმის, თავისუფლებისა და ჰუმანიზმის ზოგადსაკაცობრიო იდეალებით.

15. საქართველოს ეროვნული პრემია გაიცემა ზუსტ და საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარულ, სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, იურიდიულ, სამედიცინო და სიცოცხლის შემსწავლელ, საინჟინრო მეცნიერებების დარგებში მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული და საყოველთაოდ აღიარებული სამეცნიერო ნაშრომის ან ნაშრომთა ციკლისათვის, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვს არა მარტო ჩვენი ქვეყნის მეცნიერების, არამედ მსოფლიოს სულიერ, სოციალურ და/ან ეკონომიკურ განვითარებაში.

16. ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია გაიცემა ლიტერატურის დარგში პროზის, პოეზიის და პუბლიცისტიკის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებისათვის რომელიც მხატვრულ ღირსებათა გამო საერთო ეროვნულ აღიარებას მოიპოვებს და განმსჭვალულია თავისუფლების, ჰუმანიზმისა და პატრიოტიზმის ზოგადსაკაცობრიო იდეალებით.

მუხლი 4. საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების მინიჭების წესი

1. პირი საქართველოს სახელმწიფო ჯილდოთი ჯილდოვდება საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ამ კანონისა და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დადგენილი საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების წესის შესაბამისად.

2. ამ კანონით გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო ჯილდოთი, გარდა ამ კანონის მე-2 მუხლის ~~პირველი~~ „ა“ პუნქტის „ა.ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო ჯილდოსი, როგორც წესი ჯილდოვდებიან საქართველოს მოქალაქეები. საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით ამ კანონით გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო ჯილდოთი შეიძლება დაჯილდოვდეს უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი. ამ კანონის მე-2 მუხლის „ა.ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო ჯილდოთი ჯილდოვდებიან უცხოელები ან მოქალაქეობის არმქონე პირები.

3. შოთა რუსთაველის სახელობის პრემია გაიცემა სამ წელიწადში ერთხელ არაუმეტეს ხუთი პრემიისა, საქართველოს ეროვნული პრემია - ყოველწლიურად არაუმეტეს ორი პრემიისა, ხოლო ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია - ორ წელიწადში ერთხელ, არაუმეტეს ერთი პრემიისა.

4. ამ კანონის მე-2 მუხლის ~~მე-3~~ “გ“ პუნქტის „გ.ა“-„გ.გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ჯილდოები პირზე გაიცემა შესაბამისი კონკურსის შედეგების გათვალისწინებით. კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

5. საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოების შემთხვევაში ერთდროული ფულადი გასაცემელი გადაეცემა დაჯილდოებული პირის მემკვიდრეს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული წესით.

მუხლი 5. საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებული ერთდროული ფულადი გასაცემლების ოდენობა

1. საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებთან ერთად, გარდა ამ კანონის მე-2 მუხლის ~~პირველი~~ „ა“ პუნქტის „ა.ვ“, „ა.ზ“, „ბ“ ~~მე-2~~ პუნქტის „ბ.გ“ და „ბ.დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ჯილდოებისა, შესაბამის პირზე გაიცემა ერთდროული ფულადი გასაცემელი, შემდეგი ოდენობით:

ა) ეროვნული გმირის ორდენზე – 15 000 ლარი;

ბ) წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენზე – 6 000 ლარი;

გ) დავით აღმაშენებლის ორდენზე – 4 000 ლარი;

დ) თამარ მეფის ორდენზე – 1 000 ლარი;

ე) ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენზე – 1 000 ლარი;

ვ) ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენზე – 2 000 ლარი;

ზ) ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენზე – 1 000 ლარი;

თ) ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენზე – 600 ლარი;

ი) ღირსების ორდენზე – 600 ლარი;

კ) მედალზე „სამოქალაქო თავდადებისათვის“ – 1 000 ლარი;

ლ) მედალზე „მხედრული მამაცობისათვის“ – 400 ლარი;

მ) შოთა რუსთაველის სახელობის პრემიისათვის - 10 000 ლარი;

ნ) საქართველოს ეროვნული პრემიისათვის - 10 000 ლარი;

ო) ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიისათვის - 5 000 ლარი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებული ერთდროული ფულადი გასაცემლები გაიცემა საქართველოს მოქალაქეებზე, ხოლო „მ“-„ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფულადი გასაცემლები - საქართველოს მოქალაქეებზე, უცხოელებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე.

3. პირს, რომელიც დაჯილდოვდება ამ კანონის მე-2 მუხლის ~~მე-3~~ „გ“ პუნქტის „გ.ა“-„გ.გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პრემიით, გადაეცემა ლაურეატის დიპლომი და შესაბამისი სამკერდე ნიშანი.

4. ამ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ფულადი გასაცემლების გაცემა ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წლიური კანონით ამ მიზნით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში.

მუხლი 6. სოციალური შეღავათები

საქართველოს მთავრობა, ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობები და მუნიციპალიტეტები უფლებამოსილნი არიან სხვადასხვა სახის სოციალური შეღავათები დაამტკიცონ მე-2 მუხლის ~~პირველი~~ „ა“ პუნქტის „ა.ა“, „ა.ბ“, „ა.გ“, „ა.დ“, „ა.თ“ და „გ“ ~~მე-3~~ პუქტის „გ.ა“ და „გ.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ჯილდოებით დაჯილდოებული პირებისათვის.

მუხლი 7. გარდამავალი დებულებები

1. ამ კანონის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 90-ე დღისა საქართველოს პრეზიდენტმა დაამტკიცოს საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების წესი და ამ კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესი.

2. ამ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა” და „ნ“ ქვეპუნქტების მოქმედება არ ვრცელდება ამ კანონის ამოქმედებამდე გაცემულ ჯილდოებზე.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ“ საქართველოს კანონი; (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №2, 1992 წელი, მუხ. 100);

ბ) საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 2 ივლისის N343 ბრძანებულება ,,ხელოვნებისა და მეცნიერების დარგებში შოთა რუსთაველის სახელობისა და საქართველოს ეროვნული პრემიების დაწესების შესახებ”;

გ) საქართველოს პარლამენტის 2009 წლის 31 ივლისის N1554 დადგენილება ,,საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების – ორდენებისა და მედლების დებულების დამტკიცების შესახებ”;

დ) „ლიტერატურის დარგში ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის მინიჭების საკითხების განმხილველი კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 28 ივლისის N362 დადგენილება.

2. ეს კანონი, გარდა პირველი-მე-6 მუხლებისა და მე-8 მუხლის პირველი პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. ამ კანონის პირველი-მე-6 მუხლები და მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 90-ე დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი *გიორგი მარგველაშვილი*